E60 აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთი გაიხსნა

2016 წლის 15 ივლისს, სამტრედიასთან ახლოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის გახსნის ცერემონია გაიმართა.

ოფიციალურ გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი, იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ტოშიო კაიტანი, ჯაიკას და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები.

პროექტი განხორციელდა იაპონიის მთავრობის მიერ ჯაიკას საშუალებით საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი იენის სესხით. სამშენებლო სამუშაოები ჩაატარეს იაპონურმა კომპანიებმა PADECO CO., Ltd, TAKENAKA CIVIL ENGINEERING&CONSTUCTION CO. LTD, იტალიურმა კომპანიამ “TODINI Costruzion Generali SPA” და სხვებმა.

მისი აღმატებულება ბ-ნი კვირკაშვილი წარმოთქვამს სიტყვას

მისი აღმატებულება ბ-ნი კაიტანი წარმოთქვამს სიტყვას

ბატონი კაიტანი და ბატონი კვირიკაშვილი მსჯელობენ ავტომაგისტრალის შესახებ

გახსნილი გზის მონაკვეთის დათვალიერება